ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 10

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. საჩხერე 22 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ ა.ი.პ საჩხერის სასპორტო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორი მამუკა გაფრინდაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს "ფენიქსი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. საჩხერის სასპორტო სკოლის სახსრებით საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია კლასიფიკატორის დანაყოფის 33600000 კოდებით გათვალისწინებული საქონელი, თანახმად დანართისა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება საქონლის თანდართული ფასების მიხედვით შეადგენს 700 / შვიდასი / ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ხარისხი და გარანტია

4.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღრულ მოთხოვნებს.

5. მხარეების უფლებები და მოვალეობები

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

5.1.1 პერიოდულად შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

5.2.2 უზრუნველყოს საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.

5.2.3 ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის ღირებულება მიმწოდებელს აუნაზღაუროს არაუმეტეს ამ ხელშეკრულების დანართში აღნიშნული ფასებისა.

5.2.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3.2 მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ განხორციელებულ საქონლის ინსპექტირების პროცესში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული საქონლის მიწოდება უზრუნველყოს არაუმეტეს დანართში აღნიშნული ფასებისა.

5.4.2 საქონლის მიწოდება შემსყიდველზე უზრუნველყოს მისი მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს შვიდი კალენდარული დღის ვადაში.

5.4.3 ამ ხელშეკრულების დანართით განსაზრვრული რაოდენობის ფარგლებში, საქონლის მიწოდებაზე სასაქონლო ზედნადების ამოწერა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა უზრუნველყოს ტვირთის მიმღები სტრუქტურული ერთეულისა და საბიუჯეტო დაწესებულების მიხედვით.

5.4.4 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება.

5.4.5 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა მიწოდებული საქონლის შესახებ.

5.4.6 გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. № 4ა.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის წევრების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და საბიუჯეტო დაწესებულებების უფლებამოსილი პირები.

7.3 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა–ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულებების 0.15 პროცენტის ოდენობით.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1.5 პროცენტს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.
10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

1.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

13. სხვა დებულებები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

აიპ საჩხერის სასპორტო სკოლა
მისამართი: თამარ მეფის ქ. 4/ა
სახაზინო კოდი :

050102

ს/ნ - 239399619

ტელეფონი: 577 98-77-07

_____

ა.ი.პ. საჩხერის სასპორტო:
სკოლის დირექტორი:

(მ. გაფრინდაშვილი)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს " ფენიქსი "
მისამართი : საჩხერე, მელიქიშვილის ქ.№6

საბანკო რეკვიზიტები :
სს "საქართველოს ბანკი"
ა/ა GE61BG0000000294754000
კოდი : BAGAGE22
ს/ნ 23940396
ტელეფონი : 599 17-97-10

_____

შ.პ.ს "ფენიქსი" :

(ო.ქამუშაძე)

ა.ი.პ საჩხერის სასპორტო სკოლისა და შპს "ფენიქსს" შორის
2016 წლის 22 მარტს დადებული № 10 ხელშეკრულების დანართი
მიმწოდებლის,შპს "ფენიქსის" მიერ სტრუქტურული ერთეულებისა და საბიუჯეტო დაწესებულებების
მიხედვით შემსყიდველზე, ა.ი.პ საჩხერის სასპორტო სკოლის მისაწოდებელი კლასიფიკატორის დანაყოფის 33600000
კოდებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება.

№	საქონლის დასახელება	კლასიფიკატორის კატეგორიის კოდი	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6	7
1	პერსკინდოლი აქტივი გელი	33600000	ცალი	15	4	60
2	პერსკინდოლი აეროზოლი	33600000	ცალი	12,85	7	90
3	აქტოვეგინი გელი	33600000	ცალი	5	2	10
4	ლიოტონი გელი (დიდი)	33600000	ცალი	14	5	70
5	დიპრილიფი გელი (დიდი)	33600000	ცალი	20	4	80
6	დოლარენი გელი	33600000	ცალი	4	4	16
7	დოლარენი ტაბლეტი	33600000	ფირფიტა	2,5	2	5
8	ფასტუმ-გელი (დიდი)	33600000	ცალი	11	3	33
9	ფინალგონი გელი	33600000	ცალი	10,5	2	21
10	ცინეპარი აქტივი გელი	33600000	ცალი	5	4	20
11	ბინტი სტერილური	33600000	ცალი	0.8	10	8

12	ბინტი არასტერილური	33600000	ცალი	0,65	10	6,5
13	ბინტი სტერილური (სალფეთქებით)	33600000	კოლოფი	1,4	7	9,8
14	ბამბა	33600000	ცალი	0,45	12	5,4
15	სამედიც. ქირურ. ხელთათმანები (ერთჯერადი) პატარა ზომა №100	33600000	კოლოფი	40	2	80
16	ალერფასტი	33600000	ტაბლეტები	0,4	10	4
17	კორვალოლი G	33600000	ფირფიტა	1,5	3	4,5
18	კორვალოლის წვეთები	33600000	ცალი	2	1	2
19	ვალოსედის წვეთები	33600000	ცალი	2,4	2	4,8
20	სველი სალფეთქი (120-იანი)	33600000	კოლოფი	5,3	3	16
21	წყალბადის ზეჟანგი (დიდი)	33600000	ცალი	0,8	5	4
22	ბეტადინი(პატარა)	33600000	ცალი	9,33	3	28
23	სანტავიკი (დიდი)	33600000	კოლოფი	15	2	30
24	ბინტი-ბადე გადასაჭრელი	33600000	ლარი	x	x	10
25	ციტრამონი №10	33600000	ფირფიტა	0,3	25	7,5
26	ნუროფენი	33600000	ტაბლეტები	0,3	10	3
27	ციტერიზინი	33600000	ფირფიტა	3	2	6
28	ნოშპა	33600000	ტაბლეტები	0,12	50	6
29	პიტნის წვეთები	33600000	ცალი	0,7	1	0,7
30	ვალერიანის ტაბლეტები პიტნის № 40	33600000	კოლოფი	1,5	1	1,5
31	ვალერიანის წვეთები	33600000	ცალი	0,7	1	0,7

32	ვალიდოლი	33600000	ფირფიტა	0,4	3	1,2
33	ნიშადური	33600000	ცალი	1	1	1
34	ბამბიანი ჩხირები №100 (დიდი)	33600000	კოლოფი	1	3	3
35	კორსიზი	33600000	ფირფიტა	1,3	6	7,8
36	ბრილიანტის მწვანე	33600000	ცალი	0,4	4	1,6
37	იოდი	33600000	ცალი	0,6	2	1,2
38	თერმომეტრი	33600000	ცალი	1,5	1	1,5
39	ლეიკო პატარა	33600000	კოლოფი	0,7	4	2,8
40	ლეიკო დიდი	33600000	კოლოფი	1,5	4	6
41	უზნაძე მჭედლიშვილი №1	33600000	ცალი	4	1	4
42	უზნაძე მჭედლიშვილი №2	33600000	ცალი	4	1	4
43	მწვანე მალამო	33600000	ცალი	7	2	14
44	კაპტოპრილი	33600000	ტაბლეტები	0,15	10	1,5
45	კასტელანის სითხე (თეთრი)	33600000	ცალი	1,5	1	1,5
46	კასტელანის სითხე (წითელი)	33600000	ცალი	1,5	1	1,5
47	სამედიცინო სპირტი	33600000	ცალი	2	2	4
	ჯამი	700 (შვიდასი) ლარი				

შემსყიდველი _____

მიმწოდებელი _____